გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 239

2022 წლის 09 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2021 წლის წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება 15 წევრისგან.

კომისიის თავმჯდომარე გოგშელიძე გიორგი.

კომისიის წევრები: მურალოვა თამარ, მამულაშვილი ლეილა, სოსიაშვილი გიორგი, გელაშვილი გიგა, ოქროპირიძე ნანი, ლობჟანიძე ბექა, ადუაშვილი დავით, ოქროპირიძე ლიანა, ბოლაშვილი მაია, გოგიჩაიშვილი ბორის, ლობჟანიძე კახა, დიდებელი ნაზი, ლოთიშვილი ნანა, კოპაძე ნიკოლოზ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის ,განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად მუშაობს და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რომლის ფარგლებშიც 2022 წლის განვლილ პერიოდში კომისიამ განიხილა: განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობ მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ; კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

კომისიამ 2021 წლის 3 დეკემბრიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში სულ ჩაატარა 11 მორიგი სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ სულ განხილულ იქნა 23 (ოცდასამი) საკითხი, რომელთაგან კომისიის მიერ 17 საკითხი შეფასდა დადებითად, 1 საკითხი მოსმენილ იქნა ინფორმაციის სახით, 1 საკითხი კომისიამ დატოვა განუხილველად, 4 (ოთხი) საკითხი კომისიამ წარმოადგინა კვარტალური სამუშაო გეგმის სახით. 2022 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა კომისიების ერთობლივი სხდომა, სადაც განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი. კომისია კვარტალურად ადგენდა სამუშაო გეგმებს და მის შესაბამისად მოისმინა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის და განყოფილების ანგარიში, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ანგარიში. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირების და საჯარო მოსამსახურეების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

კომისიის თავმჯდომარის - გიორგი გოგშელიძის მიერ ინიცირებულ იქნა სამართლებრივი აქტი, განკარგულება "გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რაც ითვალისწინებდა სპორტის ხელშეწყობას, სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის, სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების სახით, მათი სოციალურ ეკონომიური პირობების გაუმჯობესების და სპორტის სხვადასხვა სახეობებში კონკურენციის გაზრდის მიზნით ფინანსურ დახმარებას.

კომისიის წევრის - გიგა გელაშვილის ინიცირება ეხებოდა ასევე ზემოთაღნიშნული განკარგულების ცვლილებას, რაც ითვალისწინებდა ოლიმპიურ სპორტის სახეობებში მონაწილე სპორტსმენების, რომლებიც ირიცხებიან ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში, პარალელურად

უმაღლესსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სწავლობენ აკრედიტირებულ პროგრამებზე თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლებამოვალეობების განხორციელებას.